N311/10
02.05.17

ქ. ბათუმში კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2017 წლის 23 თებერვლის N114/10 გადაწყვეტილების შესაბამისად გამოცხადდა კონკურსი ქ. ბათუმში მეტრულ ტალღათა (FM) დიაპაზონში (სიხშირეზე 95,3მჰც) კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად.

კომისიის 2017 წლის 23 თებერვლის N114/10 გადაწყვეტილებით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღების ბოლო ვადად განისაზღვრა 2017 წლის 23 მარტის 17:00 საათი, მოსამზადებელი სხდომის ჩატარების თარიღად – 2017 წლის 28 მარტი 13:00 საათი, ზეპირი მოსმენის სხდომის თარიღად - 2017 წლის 27 აპრილი 13:00 საათი, ხოლო კონკურსის ჩატარების თარიღად –2017 წლის 2 მაისი 13:00 საათი; სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა განისაზღვრა 8100.00 (რვა ათას ასი ლარი და 00 თეთრი) ლარით. ინფორმაცია კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და კომისიის ვებ-გვერდზე ინტერნეტში.

კომისია აღნიშნავს, რომ განაცხადი და დოკუმენტაცია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს კანონმდებლობისა და 2017 წლის 23 თებერვლის N114/10 გადაწყვეტილების შესაბამისად, წარმოადგინა შპს ”ჩვენმა რადიომ“ (განაცხადის კომისიაში რეგისტრაციის №11/2645-17, 23.03.2017წ) და შპს „ახალმა მედია ჯგუფმა“ (განაცხადის კომისიაში რეგისტრაციის №11/2683-17, 23.03.2017წ).

კომისია აღნიშნავს, რომ 2017 წლის 28 მარტის მოსამზადებელ სხდომაზე, რომელსაც შპს ”ჩვენი რადიოს” უფლებამოსილი წარმომადგენელი ნოდარ მოდებაძე და შპს „ახალი მედია ჯგუფის“ 100%-იანი წილის მფლობელი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ლევან ყუბანეიშვილი ესწრებოდნენ ლიცენზიის მაძიებლების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლითა და კომისიის 2017 წლის 23 თებერვლის N114/10 გადაწყვეტილებით გამოცხადებული კონკურსის პირობებს. კერძოდ:

ა) შპს „ჩვენი რადიოს“ მიერ წარმოდგენილ საკონკურსო განაცხადში არ იყო მითითებული კომპანიის იურიდიული მისამართი, არასწორად იყო მითითებული მონაცემები პარტნიორთა შესახებ, ასევე თანდართულ დოკუმენტაციაში ხარვეზით იყო წარმოდგენილი მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა ქონებრივი დეკლარაცია, კერძოდ დეკლარაციაში კომპანიის 100%-იანი პარტნიორის ქონების ნაცვლად მითითებული იყო ბენეფიციარი მესაკუთრეების ქონება.

ბ) შპს „ახალი მედია ჯგუფის“ საკონკურსო განაცხადზე თანდართულ დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი ცნობა განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ, ცნობა აქტივებისა და პასივების შესახებ;

კომისიის 2017 წლის 28 მარტის №196/10 გადაწყვეტილების შესაბამისად შპს ”ჩვენ რადიოს” და შპს „ახალ მედია ჯგუფს“ დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით მიეცათ ვადა 2017 წლის 4 აპრილის 19:00 საათამდე. შპს ”ჩვენმა რადიომ” და შპს „ახალმა მედია ჯგუფმა“ 2017 წლის 31 მარტს წარმოდგინეს შესაბამისი ინფორმაცია (წერილები №6/2836-17, №6/2821-17 და 6/2822-17).

ზეპირი მოსმენა ქ. ბათუმში (სიხშირეზე 95,3მჰც) კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსზე ჩატარდა 2017 წლის 27 აპრილს 13:00 საათზე. ზეპირი მოსმენის სხდომას ესწრებოდნენ შპს ”ჩვენი რადიოს” დირექტორი გოგა სამუშია და შპს „ახალი მედია ჯგუფის“ 100%-იანი წილის მფლობელი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ლევან ყუბანეიშვილი.

ზეპირი მოსმენის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის დასკვნა (სამსახურებრივი ბარათი №10/3311-17, 24.04.2017) კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მაძიებლების, შპს “ჩვენი რადიოს” და შპს „ახალი მედია ჯგუფის“ მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციების შეფასების თაობაზე. კერძოდ, დასკვნაში აღნიშნულია, რომ საძიებელი ლიცენზიის სახეობაა - საერთო რადიომაუწყებლობა; ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე–2 მუხლის ჯ) ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო მაუწყებლობა არის არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის, ახალი ამბებისა და

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის, პროგრამებით მაუწყებლობა; გამომდინარე იქიდან, რომ საძიებელი ლიცენზიის სახეობა საერთო რადიომაუწყებლობაა, თუ წარმოდგენილ სამაუწყებლო კონცეფციაში შემოთავაზებული არ არის ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები, აღნიშნული, ლიცენზიის მაძიებლის დისკვალიფიკაციის საფუძველია.

შპს „ჩვენი რადიოს“ მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფცია:

შპს „ჩვენი რადიოს“ მიერ წარმოდგენილი კონცეფციის თანახმად რადიოსადგურის ეთერის 70%-ს დაიკავებს გადაცემები, ხოლო 30%-ს მუსიკა. რადიო „კომერსანტს“ ექნება სხვადასხვა თემატიკის გადაცემები, თუმცა ძირითადად აქცენტირებული იქნება ბიზნესისა და ეკონომიკის თემატიკაზე. რადიოს ასევე ექნება ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები. რადიოს მიზნობრივ აუდიტორიას შეადგენს ყველა, ვისაც აინტერესებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, ბიზნეს და სოციალური-ეკონომიკური პროცესები.

ლიცენზიის მაძიებელი საკუთარ მიზნად ასახელებს, ბიზნესის და ეკონომიკის სფეროში საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას, ეკონომიკურ პროცესებში საზოგადოების ჩართულობისა და ქვეყანაში ბიზნეს განათლების დონის ამაღლებას.

შპს „ჩვენი რადიოს“ მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის თანახმად ,შპს „ჩვენი რადიო“ მსმენელს შესთავაზებს შემდეგ გადაცემებს და რუბრიკებს:

საინფორმაციო გამოშვება - დღის პოლიტიკის, ბიზნესის და ეკონომიკის სიახლეები, ყოველ სრულ საათზე მთავარი გამოშვება, ხოლო საათის 20 და 40 წუთებზე მოკლე გამოშვებები.

გადაცემა „პროფესიონალები“ *(ბიზნესი/ეკონომიკა);*

<u>ეთერში გავა ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს 16:10 საათზე. ქრონომეტრაჟი 45 წუთი.</u>

გადაცემის წამყვანები არიან ბიზნესის და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროების პროფესიონალები, რომლებიც მათივე სფეროში მიმდინარე მოვლენებს იხილავენ ამავე დარგის წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან და სფეროში მოღვაწე სხვა პროფესიონალებთან. გადაცემა „პროფესიონალების“ წამყვანები და თემატიკა:

„ნავთობიმპორტიორთა კავშირის“ თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი. ამ გადაცემაში იხილება საწვავის ქართულ და მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ტენდენციები, საწვავის და ნავთობპროდუქტების ხარისხის კონტროლის მექნიზმები. საავტომობილო ბაზარზე არსებული სიტუაცია.

„ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ პრეზიდენტი ირაკლი მაკალათია გადაცემაში მოწვეულ სტუმრებთან ერთად განიხილავს საქართველოს და მსოფლიო ეკონომიკაში არსებულ სიახლეებს, მაკრო და მიკრო ეკონომიკის პრობლემებს და გამოწვევებს.

„ილიაუნის ბიზნესის“ სკოლის წარმომადგენელი თამთა გველესიანი – ამ გადაცემაში მსმენელს სთავაზობს კვლევებს ეკონომიკის და ბიზნესის კონკრეტული მიმართულებების შესახებ. ამ კვლევის შედეგებს განიხილავენ ექსპერტებთან ან კვლევაში მონაწილე კომპანიებთან ერთად.

,,საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის“ დირექტორი ნუგზარ ბერიძე – სემეკის წარმომადგენელი თავის გადაცემებში დარგის სპეციალისტებთან და ენერგეტიკული კომპანიების, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად ისაუბრებს ენერგეტიკულ სექტორში არსებულ ვითარებაზე.

„ეიჩარ პროფესიონალთა გილდიის“ აღმასრულებელი დირექტორი ლილი ბიბილაშვილი სხვადასხვა კომპანიის ეიჩარ სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად ისაუბრებს კონკრეტული კომპანიის ეიჩარ–პოლიტიკაზე და დასაქმების ბაზარზე, სფეროში არსებულ პრობლემებზე და ტენდენციებზე.

გადაცემა „სოციალური პოლიტიკა“ ვახო სანაიასთან ერთად *(საზ. პოლიტიკური);*

<u>ეთერში გავა ყოველ ორშაბათს და პარასკევს 12:10 საათზე.</u>

გადაცემის წამყვანი, ჟურნალისტი ვახო სანაია კომპეტენტურ სტუმრებთან ერთად საუბრობს საზოგადოებისთვის სოციალურად მნიშვნელოვან საკითხებზე. მათ შორისაა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, მომსახურების ხარისხი, პენსიები, საკანონმდებლო ცვლილებები ამ კუთხით და სხვა აქტუალური საკითხები.

გადაცემა ,,პოლიტკომერსანტი '' კვირის შემაჯამებელი თოქ–შოუ ვახო სანაიასთან და ნინო ჟიჟილაშვილთან ერთად. *(საზ. პოლიტიკური);*

<u>დრო პარასკევი 12:10. ხანგრძლივობა - 40 წთ.</u>

საუბარი ბიზნესმენთან სოციალურ, პოლიტიკურ და ფინანსურ თემებზე. გადაცემის ფრაგმენტები ვიდეოს და ინტერვიუს ფორმით აიტვირთება საიტებზე "კომერსანტი" და "პოლიტკომერსანტი".

გადაცემა „ეკონომისტის დრო“ ხუთშაბათობით*(ბიზნესი/ეკონომიკა);*
საუბარი მნიშვნელოვან და აქტუალურ ეკონომიკურ საკითხებზე.
გადაცემა „ბიზნესის ადვოკატი“ორშაბათობით. მასში მიმოიხილავენ ბიზნესისთვის მნიშვნელოვან საგადასახადო და საკანონმდებლო ცვლილებებს.
გადაცემა „კომერსანტის დროით“ ყოველ ოთხშაბათს, 14:10 საათზე*(ბიზნესი/ეკონომიკა);*
გადაცემაში ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ბიზნესის სფეროს წარმომადგენელთა მიერ დასმულ აქტუალურ საკითხებს განიხილავენ.
გადაცემა „მაირესტი“ გადაცემა ეთერში გავა ყოველ ოთხშაბათს 19:19 საათზე;
მსმენელი მოისმენს ინფორმაციას რესტორნების და სხვა კვების ობიექტების სიახლეებზე. მიიღებს საინტერესო რჩევებს იმის შესახებ როგორ დაგეგმონ სამუშაო დღის დასრულების შემდეგ თავისუფალი დრო.
რუბრიკა „ბიზნესი და ეკონომიკა“, რომლის ავტორი და წამყვანია საერთაშორისო მიმომხილველი გიორგი ჩხუბიანიშვილი. ყოველდღე, ქრონომეტრაჟი 5-7 წუთი. *(ბიზნესი/ეკონომიკა);*
წამყვანი ახდენს გლობალური ეკონომიკის და ბიზნესის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების კომპეტენტურ ანალიზს. ავტორი მსმენელს სთავაზობს მსოფლიოს გავლენიანი გამოცემების სტატიების მიმოხილვას. რუბრიკის მსმენელები ყოველთვის საქმის კურსში იქნებიან იმ მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, რომლებიც წამყვანი მედიის ყურადღების ცენტრში ხვდება.
რუბრიკა „ამერიკა და მსოფლიო“ პარასკევობით 18:10–ზე *(ბიზნესი/ეკონომიკა);*
საერთაშორისო კომენტატორ გიორგი ჩხუბიანიშვილის საავტორო რუბრიკა. წამყვან გამოცემებზე დაყრდნობით, წამყვანი მიმოიხილავს მსოფლიოს ნომერ პირველი ეკონომიკის – ამერიკის აქტუალურ სიახლეებს და შეერთებული შტატების ბიზნეს და ეკონომიკურ ურთიერთობას დანარჩენ მსოფლიოსთან.
„ბიზნეს–კონსულტანტ დავით კენჭაძის რჩევები“*(ბიზნესი/ეკონომიკა);*
ამ რუბრიკაში მსმენელი მოისმენს ბიზნეს– ტრენერ დავით კენჭაძის რჩევებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.
რუბრიკა „მოტივაცია“, რომელიც მზადდება ინტერნეტ–ჟურნალ მოტივაციას მასალებზე დაყრდნობით.
რუბრიკა „ტექნოლოგიები“ - ეთერში გავა ყოველ სამუშაო დღეს (შემეცნებითი);
ამ რუბრიკის საშუალებით მსმენელი გაეცნობა მსოფლიოს და საქართველოს ტექნოლოგიურ სიახლეებს, არსებულ ტენდენციებს, ინოვაციებს.
რუბრიკა „მწვანე ბიზნესი“ - ორშაბათობით 11:15 – საათზე *(ბიზნესი/ეკონომიკა);*
კომერსანტის და გარემოსდაცვითი ინფორმაციების ცენტრის ერთობლივი რუბრიკა, რომლის საშუალებითაც მსმენელი მიიღებს ინფორმაციას განახლებადი ენერგიის წყაროების შესახებ.
„თბილისის გზები“- რადიო „კომერსანტის“ და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთობლივი რუბრიკა, რომლის საშუალებითაც მსმენელი გაეცნობა დედაქალაქის მასშტაბით გზებზე არსებულ ვითარებას.
„დილის აფიშა“ - თეატრების აფიშა.
„დილის პრესა“ – ქართული პრესის მიმოხილვა.
„ტურ–ინფო“ – ეთერში ყოველ სამუშაო დღეს.
ამ რუბრიკის საშუალებით მსმენელი მიიღებს ინფორმაციას სხვადასხვა ტურისტული მიმართულებების შესახებ.
„ვალუტის კურსი“ – ყოველდღიური ინფორმაცია ვალუტის კურსის შესახებ.
„საწვავის ფასები“ –ყოველდღიური ინფორმაცია საწვავის ბაზარზე არსებული ფასების შესახებ.
„ამინდის პროგნოზი“ – ყოველდღიურად. პროგნოზი კურორტებიდან და ეკონომიკურად აქტიური რეგიონებიდან, სადაც შეიძლება ბიზნეს აკეთებდეთ.
„პოეზიის 365 დღე“ *(კულტურა);*
უნიკალური ლიტერატურული პროექტი კომერსანტზე, ყოველ დღე ქართველი პოეტების ლექსები, რომლებსაც ახალგაზრდა ქართველი მსახიობები კითხულობენ.
„კომერსანტის სპორტული ამბები“ – ყოველდღიური რუბრიკა (სპორტი);
საქართველოს და მსოფლიოს სპორტის მოვლენები. სპორტში განხორციელებული ინვესტიციები და ქართულ სპორტში მიმდინარე რეფორმები.

შპს „ახალი მედია ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფცია:

შპს „ახალი მედია ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის თანახმად, რადიო ორიენტირებული იქნება რეგიონზე, რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე, მის პრობლემატიკაზე, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რეგიონის განვითარების პროცესზე.

შპს „ახალი მედია ჯგუფის“ მიზანია მოსახლეობის ინფორმირება და მათთვის ობიექტური, დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდება. აგრეთვე ქართული მუსიკის ტირაჟირება, ფოლკლორის პოპულარიზაცია. რადიო გეგმავს საზოგადოების ჩართულობას მედიაპროდუქტის შექმნაში, მათთვის საეთერო დროის გამოყოფით. ამით საშუალება მიეცემათ საზოგადოების აქტიურ წევრებს ეთერში დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია და ჩაერთონ დისკუსიაში. აგრეთვე, ახალგაზრდა ჟურნალისტებს საშუალება ექნებათ აიმაღლონ კვალიფიკაცია, სპეციალურად გამოყოფილი საეთერო დროის მეშვეობით.

ლიცენზიის მაძიებელი რადიოს მიზნობრივ აუდიტორიად მიიჩნევს ყველას, ვინც ცხოვრობს რეგიონში და დაინტერესებულია იქ მიმდინარე მოვლენებით.

შპს „ახალი მედია ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციიდან გამომდინარე, ზუსტად არ ირკვევა თუ რა გადაცემებს შესთავაზებს მსმენელს შპს „ახალი მედია ჯგუფი“, თუმცა ჩამოთვლილია პროგრამული პრიორიტეტები, გადაცემების სავარაუდო სახელწოდებებით:

ახალი ამბები - news *(საინფორმაციო);*
დილის შემეცნებით-მუსიკალურ-გასართობი პროგრამა (*გასართობი);*
ტურიზმი და ტურისტი რეგიონში *(ბიზნესი/ეკონომიკა);*
მუსიკალური ზოლი საერთო ეთერში (ქართული მუსიკა);
ჰიტ-აღლუმი (ქართული, მსოფლიო ჰიტები);
შეხვედრები და საუბრები სახელოვნებო სფეროს პოპულარულ და
საინტერესო ადამიანებთან *(კულტურა);*
გადაცემა: "საზოგადოებრივი აზრი" სოციალური თემატიკა;
გადაცემა: "ჩემი ხედვა" (დამწყები ჟურნალისტები);
ლიტერატურული გადაცემა - (ადგილობრივი და მოწვეული რესპოდენტ-წამყვანებით);
"წარმატებული ადამიანების გზა" – (ადგილობრივი საქმიანები ადამიანები და ბიზნესი)*;*
დღის თემა - (საზოგადოებრივ პოლიტ.თოქ-შოუ)*;*
"ექიმი გისმენთ" – (ინტერაქცია) *(სამედიცინო);*
"იურიდიული კონსულტაცია" – (ინტერაქცია) *(შემეცნებითი);*
„ამინდი“
"საჭირო და საინტერესო" – ანონსი - ვალუტის კურსი, აფიშა, ივენთები, დღესასწაულები, რელიგიური დღესასწაულები, ვაკანსია, ასტროლოგია, პრეს-ნიუსი, მოდის სამყარო.

აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამაუწყებლო კონცეფციების შეფასება განხორციელდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 43–ე მუხლისა და "საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 10 მარტის N160/22 გადაწყვეტილების საფუძველზე.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, რესპონდენტების პრეფერენციები რადიო გადაცემების თემატიკასთან დაკავშირებით, საკმაოდ მრავალფეროვანი და დივერსიფიცირებულია. სხვა თემატიკებთან შედარებით, რესპონდენტები ყველაზე მეტად უპირატესობას ანიჭებენ მედიცინისა და სოციალურ პრობლემების ამსახველ თემებს. სოციალური პრობლემების ამსახველი თემები იქნება ორივე ლიცენზიის მაძიებელთან, რადგან მათ ეთერში იქნება როგორც ახალი ამბები, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები. რაც შეეხება მედიცინას, ამ თემატიკის გადაცემა ფიქსირდება შპს „ახალი მედია ჯგუფის“ კონცეფციაში.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, რესპონდენტთა პრეფერენციები არაერთგვაროვანია რადიო გადაცემების ფორმატთან მიმართებაშიც. გამოკითხულთაგან ყველაზე მეტი უპირატესობას ანიჭებს ისეთ გადაცემებს, სადაც წამყვანის გარდა მონაწილეობს მსმენელი ან სტუმარი. შედარებით ნაკლებად მიმზიდველია რესპონდენტთათვის გადაცემები სტუმრის ან მსმენელის მონაწილეობის გარეშე.

კომპანიების მიერ წარმოდგენილი კონცეფციების შესწავლის საფუძველზე იკვეთება, რომ სტუმრისა და მსმენელის მონაწილეობით პროგრამები უზრუნველყოფილია შპს „ჩვენი რადიოს“ შემთხვევაში. რაც შეეხება შპს „ახალი მედია ჯგუფის“ კონცეფციას, მასში დეტალურად არ არის

აღწერილი პროგრამების ფორმატი, შესაბამისად შეუძლებელია დარწმუნებით იმის თქმა იქნება თუ არა მათ ეთერში პროგრამა სტუმრისა და მსენელის მონაწილეობით.

კვლევის მონაცემების მიხედვით იკვეთება, რომ საკმაოდ მაღალია ინტერესი ისეთი რადიო არხების მიმართ, რომლებიც სპეციალიზირებული იქნებოდნენ მუსიკის სფეროში (რესპონდენტთა 64.7% აცხადებს, რომ ასეთ არხს ყოველდღიურად მოუსმენდა).

სამაუწყებლო კონცეფციების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ შპს „ჩვენი რადიოს“ მიერ შემოთავაზებული იქნება როგორც ახალი ამბების პროგრამა საინფორმაციო გამოშვების სახით, რომელიც გავა ყოველ დღე, საათში სამჯერ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები: „დღის ბოლოს“, „სოციალური პოლიტიკა“ და „პოლიტკომერსანტი“. შპს „ახალი მედია ჯგუფის“ მიერ კი გათვალისწინებულია ახალი ამბების პროგრამისა და საზოგადოებრივ პოლიტიკური თოქ-შოუს „დღის თემის“ ეთერში განთავსება.

კომპანიების მიერ წარმოდგენილ კონცეფციებს შორის ძირითადი განმასხვავებელი არის ის, რომ შპს „ახალი მედია ჯგუფის“ კონცეფციაში თანაბრად არის წარმოდგენილი სხვადასხვა თემატიკის პროგრამები, მასში არის როგორც ახალი ამბების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ისე ხელოვნების, სამედიცინო, შემეცნებითი და გასართობი თემატიკის გადაცემები. რაც შეეხება შპს „ჩვენი რადიოს“ კონცეფციას, ის ორიენტირებულია ბიზნესსა და პოლიტიკაზე. მასში მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები, თუმცა ეთერის ძირითად ნაწილს დაიკავებს ბიზნეს გადაცემები. აგრეთვე ეთერში განთავსდება თითო პროგრამა სპორტის, ხელოვნებისა და ეკოლოგიის თემატიკაზე.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, რესპონდენტთა მესამედი უპირატესობას ანიჭებს მედიცინასთან დაკავშირებულ (35.1%) და სოციალური პრობლემების ამსახველ (32.6%) თემებს. შედარებით მცირე და თითქმის თანაბარია იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ/მიანიჭებდნენ თემებს ხელოვნების (23.5%), საყოფაცხოვრებო პრობლემების (23.3%), პოლიტიკის (23.1%) და სპორტის (22.6%) შესახებ. რესპონდენტთა შედარებით მცირე ნაწილი უპირატესობას ანიჭებს განათლებასთან (16.8%), რელიგიასთან (14%) და ბიზნესთან/ეკონომიკასთან (10.7%) დაკავშირებულ საკითხებს. რესპონდენტთა თითქმის მეათედს (9.2%) უჭირს თვალსაზრისის დაფიქსირება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

N252 ზონაში თემატიკათა ჩაშლა უპირატესობის მინიჭების კუთხით შემდეგნაირია: – სპორტი, ხელოვნება, სოციალური პრობლემები, მედიცინა, პოლიტიკა, საყოფაცხოვრებო პრობლემები, განათლება, ბიზნესი/ ეკონომიკა, რელიგია.

თემატიკა ზონა N252	%
სპორტი	29
ხელოვნება	28.2
სოციალური პრობლემები	26.9
მედიცინა	23.4
პოლიტიკა	23.2
საყოფაცხოვრებო პრობლემები	15.1
განათლება	13.7
ბიზნესი/ეკონომიკა	8.9
რელიგია	5.4
მიჭირს პასუხის გაცემა	9.3

თემატიკათა უპირატესობის ჭრილში

თემატიკა	**შპს „ჩვენი რადიო“**	**შპს „ახალი მედია ჯგუფი“**
სპორტი	✓	
ხელოვნება	✓	✓

სოც. პრობლემები	✓	✓
მედიცინა		✓
პოლიტიკა	✓	✓
საყოფაცხოვრებო პრობლემები		
განათლება		
ბიზნესი/ეკონომიკა	✓	✓
რელიგია		

რესპონდენტთა თითქმის ნახევარს (49.4%) გაუჭირდა საკუთარი თვალსაზრისის დაფიქსირება იმასთან დაკავშირებით, თუ რა თემატიკის გადაცემების ნაკლებობაა საქართველოში არსებულ რადიო არხებზე. სხვა შემთხვევებში, რესპოდენტების პასუხები საკმაოდ დივერსიფიცირებულია. ყველაზე ხშირად დასახელდა სოციალური პრობლემების ამსახველი თემატიკა (15.9%) და მედიცინასთან დაკავშირებული თემები (13.6%), რასაც შემდეგ მოსდევს რელიგიასთან (9.5%), განათლებასთან (8.6%), ხელოვნებასთან (8.0%), ბიზნესთან (5.9%) და სპორტთან (5.9%) დაკავშირებული თემები.

თემატიკა	**შპს „ჩვენი რადიო“**	**შპს „ახალი მედია ჯგუფი“**
სოც. პრობლემები	✓	✓
მედიცინა		✓
რელიგია		
განათლება		
ხელოვნება	✓	✓
ბიზნესი	✓	✓
სპორტი	✓	

კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ შპს „ახალი მედია ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილ კონცეფციაში არ არის პროგრამების აღწერილობა და მხოლოდ მათი პირობითი სათაურებია ჩამოთვლილი, რამაც გაართულა დეპარტამენტის მიერ შედარებითი ანალიზის გაკეთება.

დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ ერთი შეხედვით, საზოგადოებრივი აზრის კვლევებთან მიმართებაში, ორივე კომპანიას თანაბარი პოზიცია უკავია. ერთის მხრივ შპს „ჩვენ რადიოს“ აქვს სპორტის თემატიკა, რომელიც პრიორიტეტულია ბათუმის სამაუწყებლო ზონაში და მეორეს მხრივ შპს „ახალ მედია ჯგუფს“ აქვს მედიცინის თემატიკის პროგრამა, რომელიც თემატიკის ნაკლებობის გამოკითხვაში ერთ-ერთ წამყვან ადგილზეა. ორივე კომპანიას პროგრამებში გათვალისწინებული აქვს ისეთი პრიორიტეტული თემატიკები როგორებიცაა ხელოვნება და სოციალური პრობლომები. ასევე ორივე კონცეფციაში გათვალისწინებულია პოლიტიკის თემატიკის პროგრამები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ლიცენზიის მაძიებლის შემთხვევაში სპორტის, მედიცინის და ხელოვნების თემატიკა ძალიან მწირად არის წარმოდგენილი, როგორც წესი მხოლოდ ერთი რუბრიკით.

გასათვალისწინებელია, რომ შპს „ახალი მედია ჯგუფის“ კონცეფცია ითვალისწინებს სხვადასხვა თემატიკის პროგრამებს, რაც ქმნის მრავალფეროვნების შთაბეჭდილებას, მაგრამ მასში არ კეთდება აქცენტი არც ერთ მიმართულებაზე და ყველა თემატიკა საკმაოდ მწირად არის წარმოდგენილი, ერთი ან მაქსიმუმ ორი გადაცემა/რუბრიკით. რაც შეეხება შპს „ჩვენი რადიოს“ კონცეფციას, მასში ძირითადი აქცენტი კეთდება ბიზნესის/ეკონომიკის თემატიკაზე, აგრეთვე მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი პოლიტიკური პროგრამები. ამას გარდა, შპს „ახალი მედია ჯგუფისგან“ განსხვავებით, კომპანიამ წარმოადგინა პროგრამების ისეთი აღწერილობა კონცეფციაში, რომლითაც ნათელი წარმოდგენა გვექნება თუ რა გეგმა აქვს ლიცენზიის მაძიებელს და რას უნდა ველოდეთ ამ რადიოსადგურისგან. შპს „ახალი მედია ჯგუფის“ დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კომპანია აპირებს ორიენტირებული იყოს რეგიონზე, ხოლო შპს „ჩვენი რადიოს“ კონცეფციიდან ჩანს, რომ მას საერთო მიდგომები ექნება ქვეყნის ყველა რეგიონში.

კომისია აღნიშნავს, რომ კონკურსი ქ. ბათუმში კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად კომისიაში ჩატარდა 2017 წლის 2 მაისს 13:00 საათზე. საკონკურსო სხდომას ესწრებოდნენ შპს ”ჩვენი რადიოს” დირექტორი გოგა სამუშია და შპს „ახალი მედია ჯგუფის“ 100%-იანი წილის მფლობელი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ლევან ყუბანეიშვილი.

კომისია აღნიშნავს, რომ ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე–2 მუხლის ჰ[4]) ქვეპუნქტის თანახმად სამაუწყებლო კონცეფცია არის ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც ასახავს მაუწყებლობის მოდელს და შეიცავს პროგრამული მიმართულებების მოკლე აღწერილობას. კომისია ასევე აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ შესწავლილ იქნა შპს “ჩვენი რადიოს” და შპს „ახალი მედია ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციები და კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე აღნიშნავს, რომ შპს „ახალი მედია ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილ კონცეფციაში არ არის პროგრამული მიმართულებების მოკლე აღწერილობა და მასში მხოლოდ მათი პირობითი სათაურებია ჩამოთვლილი, ხოლო შპს “ჩვენი რადიოს” მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფცია აკმაყოფილებს ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე–2 მუხლის ჯ) ქვეპუნქტისა და პროგრამირების მინიმალურ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 43-ე მუხლისა და კომისიის 2017 წლის 23 თებერვლის N114/10 გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით ოთხი ხმა ერთის წინააღმდეგ (მომხრე კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე და კომისიის წევრები ელისო ასანიძე, მერაბ ქათამაძე და კახი ბექაური, ხოლო წინააღმდეგი კომისიის წევრი გიორგი ფრუიძე)

გადაწყვიტა:

1. ქ. ბათუმში კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდეს შპს “ჩვენი რადიო”;
2. უზრუნველყოს შპს “ჩვენმა რადიომ” ერთი თვის ვადაში, სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის - 1620.00 (ერთი ათას ექვსასოცი და 00 თეთრი) ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:

მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში - 200122900

ბანკი - სახელმწიფო ხაზინა

მიმღების ბანკის კოდი - TRESGE22

სახაზინო კოდი - 300773062

3. კომისია გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე მიიღებს სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში.
4. კონკურსში გამარჯვებულის მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების მე–2 პუნქტით განსაზღვრული სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის ამავე გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს 2 წლით ეზღუდება კონკურსში მონაწილეობის უფლება;
5. სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დარჩენილი 70%-ის ანუ 5,670.00 (ხუთი ათას ექვსასსამოცდაათი და 00 თეთრი) ლარის გადახდა განხორციელდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის განმავლობაში კონკურსში გამარჯვებული პირისათვის ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესით;

6. დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ნ. დევდარიანი) კონკურსში გამარჯვებული ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიის ანგარიშზე ჩარიცხული სალიცენზიო გადასახდელის 10%-ის საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე დაუყოვნებლივ გადარიცხვა;
7. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა) შპს „ჩვენი რადიოსთვის" წინამდებარე გადაწყვეტილების ასლის გაგზავნა;
8. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს აღნიშნული გადაწყვეტილების შპს „ჩვენი რადიოსთვის" ჩაბარების დღიდან.
9. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ., №6) ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
10. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ნ. დევდარიანი);
11. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა მე-2, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებისა) დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი).

კომისიის წევრ გიორგი ფრუიძის განსხვავებული აზრი: კომისიის წევრმა გიორგი ფრუიძემ აღნიშნა, რომ ძალიან კარგია თუ რადიო „კომერსანტი" გააფართოებს მაუწყებლობის არეალს და ქ. თბილისის გარდა იმაუწყებლებს ქ. ბათუმშიც. თუმცა მიაჩნია, რომ უკეთესი იქნება თუ რეგიონში იმუშავებს ისეთი რადიო, რომელიც ორიენტირებული იქნება რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე, მის პრობლემატიკაზე, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რაც შპს „ახალ მედია ჯგუფს" ჰქონდა წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციაში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იგი მხარს არ უჭერს ქ. ბათუმში კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შპს „ჩვენი რადიოს" გამარჯვებულად გამოვლენის საკითხს.

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	ელისო ასანიძე
კომისიის წევრი	კახი ბექაური
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	მერაბ ქათამაძე